

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 22 იანვარი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები :მ.ჩხიკვიშვილი,
რ.სკამკოჩაიშვილი,ა.ლ.დლონტი, ჯ.თავართქილაძე,
ლ.ბიგვავა, ნ.ორაგველიძე, მ.ზოიძე, ლ.სიჭინავა, ბ.დოლიძე,
დ.მამალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულიდან შემოსული ელექტრონული პეტიციის შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულიდან შემოსული ელექტრონული პეტიციის თაობაზე, რომელშიც მოსახლების ერთი ნაწილი ითხოვს შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მათი ჩართვის მიზნით სოფლის ადმინისტრაციული შენობის ორი თავისუფალი ოთახის გარემონტებას.


კომისიის წევრ ლ.ბიგვავას აზრით-კომისიამ სარეკომენდაციო წერილით უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიას გამოყოს თანხები ამ პროექტის დასაფინანსებლად, ხოლო კომისიის წევრ ბ.დოლიძის მოსაზრებით

ოთახების გარემონტება შესაძლებელია სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან გამოყოფილი თანხებიდან თუ მოსახლეობის კრება დაუჭერს მხარს.

გადაწყვეტის:

მომზადდეს სარეკომენდაციო წერილი და გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე), რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში განიხილავს მას და მიღებულ გადაწყვეტილებაზე ოფიციალურად აცნობებს როგორც პეტიციის ავტორებს ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია